სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის N1 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის

იამზე მსხვილიძის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

როგორ გავაუმჯობესოთ დილისკის N 1 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებში მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება

2018-2019 სასწ.

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 3

I თავი. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა 4

1.1 პრობლემის აქტუალობა 4

1.2 მოკლე ინფორმაცია სამიზნე ჯგუფის შესახებ 7

1.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები 9

1.4. კვლევის მიზანი 11

1.5.კვლევის ამოცანა 11

II თავი. ლიტერატურის მიმოხილვა 12

2.1. საერთაშორისო კვლევები; ლიტერატურა 12

2.2 კვლევის დიზაინი (ძირითადი საკვლევი კითხვები, მთავარი ორიენტირები): 19

III თავი კვლევის მეთოდოლოგია 19

3.1. სამიზნე ჯგუფის შერჩევა 19

3.2 მონაცემთა შეგროვება 20

3.3 ძირითადი საკვლევი საკითხები 20

3.4 კვლევის მეთოდები /თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 21

3.5 კვლევის ვადები/გეგმა 23

IV თავი. ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასება, მეთოდები, რეკომენდაციები 24

4.1 განხორციელებული ინტერვენცია 28

4.2. ინტერვენციის შედეგები და დასკვნები 29

4.3 ძირითადი დასკვნები 35

4.4 კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები. 37

4.5. მიღებული შედეგების შეჯამება 37

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) 38

დანართები 40

რეფლექსია 51

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკის კვლევის ანგარიში, მასში განხილულია, როგორ გავაუმჯობესოთ დილისკის N 1 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებში მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება, ტექსტის გაგება-გააზრების პროცესში გამოვლენილი პრობლემები ,მათ გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები და კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციები ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისთვის.ნაშრომში წარმოვადგინეთ თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი იმ მონაცემებისა, რომლებიც არაქართული სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებთან ტესტირების, კოლეგებისა და მშობელთა გამოკითხვის შედეგად მივიღეთ. ვფიქრობთ, მოცემული ანგარიში დაეხმარება კოლეგებს მხატვრული ტექსტების სწავლებისას, გაითვალისწინონ ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც ახლავს ამ ტიპის ტექსტების გაგებას.შევეცადე კვლევა დაფუძნებული ყოფილიყო როგორც საკუთარ გამოცდილებაზე, ასევე უახლეს მეთოდურ ლიტერატურაზე .

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის N1 საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელ იამზე მსხვილიძის პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა დაწყებითი საფეხურის მეოთხე კლასში.

პირველ თავში მოცემულია საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა; მოკლე ინფორმაცია სამიზნე ჯგუფის შესახებ; პრობლემის გამოწვევის სავარაუდო მიზეზები; კვლევის მიზანი;კვლევის ამოცანა; კვლევის დიზაინი (ძირითადი საკვლევი კითხვები, მთავარი ორიენტირები).

მეორე თავში წარმოდგენილია ლიტერატურის მიმოხილვა;საერთაშორისო კვლევები მხატვრული ტექსტების შესახებ ;კვლევები არაქართული სკოლების მოსწავლეთა შედეგებზე; გარემოზე ,რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას; წარმოდგენილია ძირითადი მეთოდები და სტრატეგიები და გაკეთებულია ძირითადი დასკვნები.

მესამე თავში გადმოცემულია კვლევის მეთოდოლოგია;სამიზნე ჯგუფის შერჩევა; მონაცემთა შეგროვება; ძირითადი საკვლევი საკითხები;კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები; ძირითადი დასკვნა; კვლევის ვადები/გეგმა.

მეოთხე თავში წარმოდგენილია ინტერვენცია, დასკვნები და რეკომენდაციები; ინტერვენციების განხორციელების გზები და საშუალებები; პრობლემის ძირითადი არსი; ინტერვენციის შედეგები და დასკვნები; ძირითადი დასკვნები; კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები.

I თავი. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

1.1 პრობლემის აქტუალობა

არაქართულენოვან სკოლებში საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშეწყობის, გაწაფული კითხვის უნარის განვითარების, ლექსიკის დაუფლებისა და ადაპტირებული მხატვრული ტექსტების გაგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უცხოენოვანი ტექსტების სწორად შერჩევას. დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანი ნიუანსებისა და ასპექტების გათვალისწინება წინაპირობაა,როგორც საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლის წერის,კითხვის,მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების, ასევე მაღალი სააზროვნო უნარების:არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის. დაკვირვებებისა და მრავალმხრივი ანალიზიდან გამომდინარე, როგორც ჩვენთვის, ცნობილია ეს უნარები განაპირობებენ პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებას მთელი კარიერის მანძილზე.მნიშნელოვანია, რომ მოსწავლეს დაწყებით კლასებშივე

განვითარებული ჰქონდეს კითხვის უნარები,კითხვის ტექნიკა,გაწაფული კითხვა,რომელიც მნიშვნელოვანია წაკითხულის გააზრებისთვის და თუ მოსწავლე გააზრებულად კითხულობს, უყალიბდება პირადი დამოკიდებულება წაკითხული ტექსტის მიმართ, აკეთებს ემოციურ შეფასებებსა და პრობლემებს აანალიზებს საკუთარ ღირებულებათა ჭრილიდან.

სკოლა, სადაც მე ვმუშაობ , სომხურენოვანია, ქართული ,როგორც მეორე ენის შესწავლა ხორციელდება პირველი კლასიდან. წლების მანძილზე ჩვენი სკოლა ჩართული იყო დაწყებითი განათლების პროექტში G-Pried -ში ,რომელმაც მოგვცა საშუალება გაგვეანალიზებინა ჩატარებული გაკვეთილები,დავკვირვებოდით და გვემუშავა მოსწავლეთა საჭიროებებზე, ხელი შეგვეწყო სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. სწავლების ადრეულ საფეხურზე გამოგვევლინა ძირითადი პრობლემები და გვეზრუნა პრობლემების მოგვარების გზებსა და სტრატეგიებზე.ჩვენთვის,ქართულის მასწავლებლებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორც შემოთავაზებული ტრენინგ-პროგრამა, ასევე პროექტის ფარგლებში სკოლისთვის გადაცემული სასწავლო მასალები,დამხმარე საკითხავი ლიტერატურა,ადაპტირებული ილუსტრირებული ტექსტები,საკითხავი გაზეთები,დიაგნოსტიკური ტესტები კლასების მიხედვით,აუდიო-ტექნიკა. წლების მანძილზე ვიყავი ამ პროექტის ფასილიტატორი,სისტემატურად ვაკვირდებოდი მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს,ვგეგმავდით ერთობლივად ,რომელიც მორგებული იყო მოსწავლეთა საჭიროებებზე, გამოვყოფდით და ვაანალიზებდით ხარვეზებს.ყურადღებას ვამახვილებდი ამ ხარვეზების გამოსწორებაზე,რომელიც ნათლად აისახებოდა მოსწავლეთა შედეგებზე.გამოიკვეთა განსხვავება ,,ჯიპრაიდულ კლასებსა“ და იმ კლასებს შორის, რომელებშიც ეს პროექტი ვერ განხორციელდა,რადგან გათვლილი იყო დაწყებით საფეხურზე,ეს განსხვავება გულისხმობს იმას,რომ იმ კლასებს, რომლებსაც აქტიურად ვაკვირდებოდით ,სასწავლო მასალის მიზანმიმართულად ვიყენებდით,საკომუნიკაციო უნარები მეტად განუვითარდათ. არაქართულენოვან

ქართული სკოლებისგან განსხვავებით არაქართულენოვან სკოლებში მაინც ბევრი სირთულე იჩენს თავს,მიუხედავად იმისა,რომ წარმატებით გავლილი აქვთ დაწყებითი საფეხური. მიზეზი ის გახლავთ,რომ მოსწავლეები ვერ ააქტიურებენ ნასწავლს,მათი სივრცე შემოიფარგლება მხოლოდ ქართულის მასწავლებელთან ურთიერთობით. ამიტომ ყოველთვის დამატებითი ძალისხმევა და მიზანმიმართული საქმიანობის წარმართვა გვჭირდება, რომ გამოწვევებს გავუმკლავდეთ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჩემი საკვლევი საკითხი აქტუალურია, ამიტომ საკითხის ზუსტი შესწავლის მიზნით მოსწავლეებს ჩავუტარე სკრინინგტესტი, რათა ადრეულ ეტაპზე გამომევლინა მათი საჭიროებები,გამოვლინდა რისკ ჯგუფები, რომლებსაც შეფერხება ჰქონდათ ტექსტის გაგება-გააზრებაში და ვერ აკმაყოფილებდნენ ესგ-თი განსაზღვრულ მეოთხე კლასის სტანდარტის მოთხოვნებს. იმისათვის, რომ შემესწავლა ეს პრობლემა და დავხმარებოდი მოსწავლეებს აღნიშნული უნარის განვითარებაში, გადავწყვიტე ჩამეტარებინა სიღრმისეული კვლევა, საკვლევი საკითხი ჩამოვაყალიბე შემდეგნაირად „როგორ გავაუმჯობესოთ დილისკის N 1 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებში მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება‘’. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოვკვეთე პრიორიტეტები, რომელიც დამეხმარებოდა ამ პრობლემის მოგვარებაში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მხატვრულ ტექსტებზე მუშაობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხო ენის სწავლებისას. ტექსტის მრავალმხრივი დამუშავება ხელს უწყობს ,როგორც ტექსტის გაგებას, ისე გრამატიკული თუ ლექსიკური ერთეულების შესწავლას,გრამატიკულ კონსტრუქციებზე დაკვირვებას, ახალი ინფორმაციის ათვისებას, პრობლემების გამოკვეთას,მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობას, პარალელების გავლებას მშობლიურ ენასთან, შესწავლილ ნაწარმოებებთან.

მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის დროს ბევრი სირთულე იკვეთება,ეს შეეხება როგორც უცხო ლექსიკური ერთეულებსა თუ გრამატიკულ წესებს,ასევე უცხო ქვეყნის სოციალური თუ კულტურული მოვლენების არცოდნას .ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სწორად იყოს შერჩეული არა მარტო შესასწავლი ტექსტი, არამედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ როგორი მეთოდებით და მიდგომებით ვასწავლით,რომელიც მოტივაციის ამაღლებისა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის არის მნიშვნელოვანი.

,,განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა. ამისთვის ზრუნვა სწავლების ადრეული საფეხურიდანვე უნდა დავიწყოთ. თუ ბავშვს იმთავითვე გავუღვივეთ კითხვის სიყვარული, ის მას მთელი ცხოვრება გაჰყვება. კითხვა მოზარდს საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაში ეხმარება.“ კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას ხელი უნდა შევუწყოთ ქართულის გაკვეთილზე, დავაუფლოთ მოზარდი კითხვის ტექნიკასა და გააზრებულ კითხვას. ამისთვის საჭიროა სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს და რა შეეძლოს. სწორედ მიზანზეა დამოკიდებული გაკვეთილის მსვლელობა და სწავლების მეთოდების ეფექტურად გამოყენებაც.

1.2 მოკლე ინფორმაცია სამიზნე ჯგუფის შესახებ

ჩემი სამიზნე ჯგუფი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის N1 საჯარო სკოლის მე-4 კლასია. კლასში 15 მოსწავლეა.ამ კლასში პირველად შევედი სექტემბრიდან და მაინტერესებდა საიდან დამეწყო,რა უჭირდათ,რა ჰქონდათ გასაუმჯობესებელი,მათი მშობლიური ენა სომხურია ,ქართულს, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენას ,ეუფლებიან პირველი კლასიდან ,კვირაში ხუთი საათი. მოსწავლეებს არ აქვთ კომუნიკაციის საშუალება ეთნიკურ ქართველებთან და ქართულ ენაზე ლაპარაკის, კითხვის,წერის

შესაძლებლობა მხოლოდ ქართულის გაკვეთილზე და ქართულის მასწავლებელთან ურთიერთობისას ეძლევათ .

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისას მოსწავლეები სახელმწიფო ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებსაც. საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. ქართული, როგორც მეორე ენის მისაღწევი შედეგები დაწყებით საფეხურზე :

მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები

სტანდარტის შედეგი: IV კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები: ქ.მ.დაწყ.(I).2.

- მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება.
- მოსწავლე: ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, მიზანი);
- მარტივი საკითხავი ამოცანების შესასრულებლად ტექსტში პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას;
- ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობას;
- აკავშირებს კონკრეტულ შინაარსს სათანადო აბზაცთან, ილუსტრაციას შესაბამის ეპიზოდთან / წარწერის შინაარსთან;
- განარჩევს ავტორისა და პერსონაჟის სიტყვებს;
- ავლენს ტექსტზე მუშაობის საწყისს ჩვევებს (მაგ., საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას);
- ავლენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ.
- ქ.მ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების გამოყენებით

ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა.

- თავისუფლად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტებს;
- კითხულობს შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყოფით;
- ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას.

ტექსტის ტიპები: ა) მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტები (ადაპტირებული ზღაპარი, მოთხრობა, ამბავი, ლექსი);

მხატვრული ტექსტებისადმი ინტერესი მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე,რადგან ბავშვს ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით უნდა მივაწოდოთ მათთვის საჭირო ლიტერატურა და გავუღვივოთ წიგნისადმი ინტერესი.არაქართულ სკოლაში მხატვრული ტექსტების მოსწავლეებისთვის გაცნობა ,მრავალ ხელიშემშლელ ფაქტორებთან არის დაკავშირებული , სწორედ ამ ფაქტორებსა და ხელისშემშლელ გარემოებებზე დაფიქრებამ გადაგვაწყვეტინა საკვლევ საკითხად შეგვერჩია ეს თემა. ყოველი მოსწავლე ინდივიდუალურია თავისი შესაძლებლობებით, წინარე ცოდნით, მზაობით, პიროვნული თვისებებით, ცხოვრების სტილით, ინტელექტუალური უნარებით, გონებრივი შესაძლებლობებით და ა.შ., ამიტომ მათთვის კითხვა სახალისო და საინტერესო პროცესად რომ იქცეს, საჭიროა ,შევთავაზოთ მრავალფეროვანი აქტივობები, დავისახოთ მიზანი, გამოვკვეთოთ პრობლემები და ვიმუშაოთ პრობლემათა აღმოფხვრისათვის.

1.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა გამომდინარეობს უპირველესად იქიდან, რომ მიმაჩნია ყველა მასწავლებლის საფიქრალი და საზრუნავია მოსწავლეების აქტიურ მკითხველებად ჩამოყალიბება, ამიტომ ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის სავარაუდო მიზეზები.

ზაფხულის არდადეგებზე საშუალება მქონდა მოსწავლეებისთვის ერთი თვის მანძილზე ,,საზაფხულო სკოლის“ პროგრამის ფარგლებში,(პროგრამა ჩემ მიერ იყო

შედგენილი),შემეთავაზებინა სხვადასხვა სახის აქტივობები,მათ შორის მხატვრული ტექსტები, ენის უკეთ შესწავლის მიზნით. მოსწავლეებს პერიოდულად ვაწვდიდი სხვადასხვა საკითხავ წიგნებს მათი ინტერესებისა და ენის ფლობის დონის გათვალისწინებით.საზაფხულო სკოლის ფუნქციონირების დროს ინტერესები და მზაობა იყო ძალიან მაღალი, ამიტომ მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება ნაკლებად უჭირდათ, რადგან ჯგუფი დაკომპლექტებული იყო მოტივირებული, აქტიური და ენის ფლობის დონის მიხედვით შედარებით ძლიერი მოსწავლეებით. ამ ჯგუფებში იყო საკვლევი კლასის რამდენიმე მოსწავლე,მათი ინტერესი და მზაობა მხატვრული ტექსტების წაკითხვისა და გაგებისადმი იყო ძალიან მაღალი, მაგრამ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საზაფხულო სკოლის აქტივობებში ამ კლასის მხოლოდ 3 მოსწავლე იყო ჩართული,დანარჩენ მოსწავლეებთან კი დამჭირდებოდა მიზანმიმართული მუშაობა, რომ მათი დონე, მზაობა და მოტივაცია გატოლებოდა საზაფხულო სკოლის მოსწავლეების დონეს. ამიტომ სასწავლო წლის დასაწყისში გადავწყვიტე,რომ მეოთხე კლასში მეტი ყურადღება დამეთმო მხატვრულ ტექსტებზე მუშაობისთვის,მაგრამ სწავლების დროს გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომელიც ხელს უშლიდა მხატვრული ტექსტების გაგებას. ეს იყო:

- მწირი ლექსიკური მარაგი;
- გამართული/გაწაფული კითხვის პრობლემა;
- სასკოლო სახელმძღვანელოში არსებული ტექსტების სიმწირე;
- სახელმძღვანელოში არსებული საკითხავი მასალის შეუსაბამობა ენის ფლობის დონესთან;
- ინფორმაციის გადამუშავების პრობლემები;
- წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა;
- სკოლაში წიგნიერების განვითარებაზე ორიენტირებული ფიზიკური და ფსიქო -სოციალური გარემოს არარსებობა;
- ერთსა და იმავე კლასში მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებული მეთოდების და რესურსების გამოუყენებლობა;

- კლასში განსხვავებული ენის ფლობის მქონე მოსწავლეები.

  ჩემ სამიზნე კლასში ამ პრობლემის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანი იყო,რათა შემდეგ საფეხურზე, როდესაც უფრო მეტი მოთხოვნებია გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით არ გასჭირვებოდათ და შემზადებული ყოფილიყვნენ ახალი ტექსტების გაგება-გააზრებისათვის.

1.4. კვლევის მიზანი

აქედან გამომდინარე დავსახეთ კვლევის მიზანი:

- განუვითაროთ მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი;
- დეტალურად შევისწავლოთ რა ქმნის მე-4 კლასში ადაპტირებული მხატვრული ტექსტების გაგების პრობლემას;
- მოვახდინოთ მათი იდენტიფიცირება,შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავოთ რეკომენდაციები,;
- გამოვყოთ სწავლებისას წამოჭრილი პრობლემები და გამოვნახოთ პრობლემის გადაჭრის გზები;
- ეფექტურად დავგეგმოთ შემდგომი სასწავლო პროცესი და დავხვეწოთ ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკა;
- კვლევის შედეგები გავუზიაროთ კოლეგებს.

1.5.კვლევის ამოცანა

მიზნის მისაღწევად დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- გავცნობოდიტ სათანადო ლიტერატურას;
- გაგვეზიარებინათ კოლეგების გამოცდილებები;
- იდენტიფიცირება მოგვეხდინა სწავლების პროცესში გამოვლენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა;
- გამოგვეყენებინა ჩვენთვის ნაცნობი კითხვის სწავლების ეფექტური სტრატეგიები და მოგვერგო მოსწავლეთა საჭიროებებზე;.

- დაგვესახა და გაგვეხორციელებინა ინტერვენციები.
- მიღებული მონაცემების შედეგების დამუშავების შემდეგ შეგვემუშავებინა რეკომენდაციები სახელმწიფო ენის კათედრის წევრებისათვის.

II თავი. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. საერთაშორისო კვლევები; ლიტერატურა

პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ჩემი მიზანი იყო გავცნობოდი ლიტერატურას,გამეზიარებიანა კოლეგების გამოცდილება. პირველ რიგში გავეცანი საერთაშორისო კვლევებს,თუ რა შედეგი ჰქონდათ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს და როგორ ჰქონდათ განვითარებული კითხვისა და ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კითხვის უნარის განვითარებას ადრეულ ასაკში, რადგან ის ხელს უწყობს იმ სააზროვნო პროცესების განვითარებას,რომლებიც ეფექტური სწავლისა და სწავლების წინაპირობაა, როგორც დაწყებითი, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე.დაწყებით კლასებში მოსწავლე ეუფლება კითხვის ტექნიკას,ის სწავლობს კითხვას და შემდეგ კითხულობს იმისთვის , რომ ისწავლოს.

ჯერ გავეცანი წიგნიერების საერთაშორისო კვლევის სტატისტიკას,რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველომ 2006 და 2011 წლებში ,რომლის მიზანიც 9-10 წლის მოზარდების კითხვის უნარისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლაა. კვლევაში გამოყენებული იყო ტესტები,რომლითაც შემოწმდა, თუ რამდენად იგებს, იაზრებს ბავშვი სხვადასხვა ტიპის ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა და სხვა.(კვლევის ანგარიშები, 2008,2013).

ასევე გავეცანი PIRLS - ის საერთაშორისო კვლევებს (2006, 2011, 2016) ,რომლის მიზანი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სფეროში შედარებითი

კვლევების წარმოება სწავლისა და სწავლების დონის გაუმჯობესების მიზნით. საერთაშორისო კვლევა საშუალებას იძლევა, მონაწილე ქვეყნებმა შეადარონ მოსწავლეთა მიღწევების დონე საერთაშორისო სტანდარტებს, გააანალიზონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პოლიტიკა, სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდიკა თუ საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა მიღწევებზე.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS — Progress in International Reading Literacy Study) შედეგებით, მოზარდთა წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია. დაწყებით კლასებში წაკითხულის შინაარსის გააზრებისა და გადმოცემის მიხედვით, მსოფლიოს 45 ქვეყნიდან, ჩვენი ქვეყანა 37-ე ადგილზეა. უკეთესი შედეგი არც სხვა ასაკობრივ ჯგუფებშია, სადაც ბოლო პოზიციებს აფრიკულ ქვეყნებთან ვინაწილებთ. კვლევების მიხედვით, საქართველო სასკოლო განათლების დონით მსოფლიოში ერთ–ერთ ბოლო ადგილზეა.

ამ კვლევებში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე ,რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებაზე.კვლევაში მონაწილე ზოგიერთი ქვეყანა უკეთესად ასრულებდა დავალებას ,რომლებიც ინფორმაციის ამოცნობასა და უშუალოდ დასკვნის გამოტანას მოითხოვდა,ზოგიერთი კი იმ დავალებებს,რომლებიც ინტერპრეტაციას,ინტეგრაციასა და შეფასებას მოითხოვს.

მაგ.: საქართველომ 2011 წელს უკეთესი შედეგი აჩვენა ინტერპრეტაციის, ინტეგრაციისა და შეფასებასთან დაკავშირებულ დავალებებში. საერთო სურათი კი ასეთი იყო:,,ქართველ ბავშვებს მხატვრული ტექსტების გააზრებაში უფრო კარგი მაჩვენებელი აქვთ (სკალირებული საშუალო - 478), ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში (სკალირებული საშუალო 467), თუმცა ორივე შემთხვევაში ეს შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება pirls-ის საერთაშორისო სკალირებულ საშუალოს“, - ნათქვამია კვლევაში. ეს არის საქართველოს შედეგი მსოფლიოს

სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებელთან შედარებით ,მაგრამ უშუალოდ საქართველოში (თბილისისა და რეგიონების) არსებული მონაცემების გათვალისწინებით ასეთი სურათი იხატება: საქართველოს მოსწავლეების უმეტესობას შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ ტექსტის ინტერპრეტაციასა და ინტეგრირებასთან დაკავშირებულ დავალებებში. ასევე,გოგონებთან შედარებით ბიჭებს დაბალი მაჩვენებელი აქვთ. საქართველო ზღვარზეა თავისი შედეგებით, რაც შეეხება საქართველოს რეგიონების სამცხე-ჯავახეთი ზღვარს ქვემოთაა საქართველოს სხვა რეგიონების მონაცემებთან სედარებით. მხატვრული ტექსტების გააზრებაში სტატისტიკურად საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი არა აქვს არც ერთ რეგიონს.ზოგად მონაცემებს თუ გადავხედავთ, საშუალო და საშუალოზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარას, თბილისს, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს. ეს სტატისტიკა ზოგად მონაცემებს გვიჩვენებს, მაგრამ ჩვენი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე საინტერესო იყო გავცნობოდი არაქართული სკოლების მოსწავლეთა სტატისტიკურ მონაცემებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმწიფო შეფასება პირველად ჩაატარა. კვლევის შედეგები ცენტრმა კონფერენციაზე „სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება: სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევები“ 2018 წლის 5 მაისს წარადგინა. შეფასებამ აჩვენა,რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლისას არაქართულენოვანი მოსწავლეების ნახევარზე მეტი მინიმალურ დონეზეც ვერ ძლევს სასწავლო გეგმას.სასწავლო გეგმის დაძლევის მაღალი მაჩვენებელი აქვს მოსწავლეების 12%-ს, საშუალო - 12%-ს, დაბალი - 13%-ს, ზღვარს მიღმა კი მოსწავლეების 63%-ია.

რაც შეეხება სასწავლო გეგმის დაძლევის მაჩვენებელს, აქ განსხვავებას გვაძლევს სწავლების პირველ ენა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული,) რომლის მიხედვით ასეთი შედეგი გვაქვს:აზერბაიჯანული - 13%, სომხური - 40%, რუსული - 77%.

როგორც თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, სკოლებს შორის ამგვარ განსხვავებას ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს:თუ სად არის განთავსებული სკოლა, მდებარეობს თუ არა სკოლა ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილას, მდებარეობს ქალაქში თუ სოფლად. კვლევაში ჩართული იყო საქართველოში არსებული 259 არაქართული სკოლა, 4142 მოსწავლე, კვლევა ჩატარდა მესვიდეკლასელ მოსწავლეებში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეების შედეგები უკეთესია იმ სკოლებში, სადაც სასწავლო რესურსები უკეთეს მდგომარეობაშია (მასწავლებელი, სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკა). გარდა ამისა, მოსწავლეების შედეგები უფრო მაღალია იმ სკოლებში, სადაც ქართულის სწავლება პრიორიტეტულად მიიჩნევა.

თუკი საერთაშორისო შეფასებებს გადავხედავთ, კვლევები აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აკადემიური მიღწევებით ჩამორჩებიან ქართულენოვანი მოსწავლეების შედეგებს. დამაფიქრებელია არაქართველი მოსწავლეების ეს მაჩვენებელი, მაგალითად, წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) შედეგები:კვლევა აჩვენებს, რომ მოსწავლეების შედეგებზე წიგნიერებაში ისეთი ფაქტორები ახდენს გავლენას, როგორებიცაა: მშობელთა ჩართულობა შვილის ადრეულ განათლებაში, სასკოლო მზაობა,კითხვის მოყვარული მშობლები, ოჯახის საგანმანათლებლო რესურსები, ბულინგი და სხვა.მაგალითისთვის, ამავე კვლევის თანახმად, აზერბაიჯანულ სექტორში მოსწავლეების 81% არ დადიოდა ბაღში, ქართულ სექტორში ეს მაჩვენებელი 12%-ია. აქ ნათლად იკვეთება ოჯახის როლი,ჩვენს შემთხვევაშიც პრობლემას ქმნის მშობლების არასათანადო ჩართვა სასწავლო პროცესში,საქმეს ართულებს სახელმწიფო ენის არცოდნაც.სახელმწიფო შეფასების პრეზენტაციისას წარმოდგენილი იყო მხოლოდ კვლევის რაოდენობრივი ნაწილი. როგორც თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, იგეგმება კვლევის თვისებრივი ნაწილის ჩატარებაც.



საერთაშორისო კვლევების გარდა , გავეცანით კოლეგების მიერ წარმოებულ რამდენიმე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას. ისინი ძირითადად წაკითხულის გააზრებაზე (ზოგადად), წიგნიერებაზე (ზოგადად) იყო მიმართული. ჩვენ კი შევეცადეთ ჩვენი საკვლევი საგანი კონკრეტული ყოფილიყო და მხოლოდ მხატვრული ტექსტების გაგება ვიკვლიეთ. როგორც ცნობილი მკვლევარები გვეუბნებიან ,, კითხვა ყოველთვის გულისხმობს ინტერპრეტაციას, რომელსაც წინ უძღვის გაგების პროცესი; წაკითხულის გაგების ხარისხი კი დამოკიდებულია მკითხველის მომზადების დონეზე, კითხვის მიზანსა და წასაკითხი ტექსტის შინაარსზე''. **(კითხვის სწავლების განსხვავებული სტრატეგიები სხვადასხვა საგანში კეროლინ ჩეპმენი რიტა კინგი ;2016, თბილისი).** მკითხველის მომზადება წასაკითხი ტექსტისადმი,მისი მზაობა,მოტივაცია მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოსწავლის საჭიროებებზე,ინტერესსა და ასაკობრივ თავისებურებაზეა მორგებული ტექსტი, მოსწავლის მზაობა დიდია, მასწავლებლის როლი კი -უმნიშვნელოვანესი, რომ მოსწავლე გახდეს კარგი მკითხველი და მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას.

კიდევ ერთხელ გადავხედე ჯიპრაიდის საკითხავ მასალას **,,სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული“,** კრებულში კარგად არის გაანალიზებული და გადმოცემული ის ძირითადი პრობლემები,რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებას უშლის ხელს,ასევე,ნაჩვენებია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, აქტივობები, მეთოდები,რომლებიც ხელს უწყობს კითხვის უნარის განვითარებასა და წაკითხულის გაგება-გააზრებას.,,ტექსტის გაგებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვების მნიშნელობის ცოდნა და ლექსიკური მარაგის გაფართოება. სწავლის პროცესში ბავშვები იყენებენ არსებულ ლექსიკურ მარაგს და თანდათან ავსებენ მას. ამის შესაძლებლობას კი სწორად მიწოდებული მრავალფეროვანი მასალა იძლევა. ამიტომ, სასურველია,მასწავლებელმა გაუგებარი ფრაზებისა და სიტყვების განმარტებისთვის მიმართოს სხვადასხვაგავარ გზას: გამოიყენოს კონტექსტური გასაღები,თავად აუხსნას მისი მნიშვნელობა, გამოიყენოს ახალი სიტყვები წინადადების შედგენისას და სიტუაციური საუბრისას“**(პაატა პაპავა. თამარ ჭანტურია- წიგნიერება)**. საინტერესოა ის მეთოდები, რომლებიც მოსწავლეებში კითხვის პროცესისა და წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭირო უნარების განვითარებზე არის ორიენტირებული, გაგება-გააზრებასა და ლექსიკურ მარაგს შორის არსებობს კვლევით დადასტურებული მჭიდრო კავშირი,თუ ბავშვს აქვს საჭირო ლექსიკური მარაგი უკეთ იგებს და იაზრებს ტექსტს. (**„მასწავლებლის სახელმძღვანელო - წიგნიერება“, ავტორები პაატა პაპავა და თამარ ჭანტურია).**

წიგნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს არა მხოლოდ მიზანმიმართულ ვარჯიშს წერასა და კითხვაში, არამედ უფროსებისა და თანატოლების პოზიტიური ელფერით დატვირთულ ურთიერთობას ბავშვთან.

ამ კრებულში ასევე კარგად არის აღწერილი დიფერენცირებული მიდგომის საჭიროება და აუცილებლობა,რადგან ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.რამეთუ ნებისმიერ კლასში არიან სხვადასხვა

შესაძლებლობისა და მოტივაციის მოზარდები,რომელთა შეფასება და პროგრესის მონიტორინგზე დაკვირვება მეტად მნიშვნელოვანია.

G-pried-ის მეთოდური კრებული აქაც კარგი გზამკვლევია ჩვენთვის,რომ ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს და დავგეგმოთ სამი ტიპის საკლასო შეფასება :

• სკრინინგი - მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;

• დიაგნოსტირება - მოსწავლის წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების პოვნა;

• პროგრესის მონიტორინგი - სწავლება-სწავლის ეფექტურობის დადგენა, შუალედური შეფასება.

სწორედ სკრინინგისა და დიაგნოსტირების საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა.

ზემოთ განხილულმა შეხედულებებმა იმის თქმის საშუალება მომცა , რომ გააზრებული კითხვის სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული კლასისა თუ მოსწავლის საჭიროებისა და ინტერესის ზუსტად დადგენა. ტექსტის გაგება-გააზრების ხელისშემშლელია მწირი ლექსიკური მარაგი და კითხვაში გაუწაფაობა.ასევე,მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ, თუ რომელ კომპონენტში სჭირდება მოსწავლეს დახმარება. შესაძლებელია მოსწავლეთა ნაწილს ყველა კომპონენტში სჭირდებოდეს დახმარება, ზოგს მხოლოდ მოტივაციის პრობლემა ჰქონდეს, ან ხელი არ მიუწვდებოდეს საინტერესო ლიტერატურაზე. მშობლის როლი უმნიშვნელოვანესია,მაგრამ არაქართული სკოლის მოსწავლეებს დახმარებას ვერ უწევენ მშობლები ქართული ენის შესწავლისას,რადგან სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულ ენას,გამოიკვეთა ის,რომ თუ მოსწავლეს უფროსი დედმამიშვილი,ოჯახის წევრი უწევს მონიტორინგს,უმოწმებს დავალებას,ეხმარება კითხვაში მეტად მაღალი შედეგი აქვს,მაგრამ ასეთების რიცხვი ცოტაა. ძირითადად, სკოლაში ხდება ამ სხვადასხვა სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა,ამიტომ ქართულის მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია, თუ როგორ შეძლებს პრობლემის დეტალურად შესწავლას, რომ შემდეგ განსაზღვროს რომელი მეთოდი თუ სტრატეგია დაეხმარება სიძნელეების დაძლევაში.

2.2 კვლევის დიზაინი (ძირითადი საკვლევი კითხვები, მთავარი ორიენტირები):

კვლევის დაწყებამდე ვფიქრობდი თუ რა იქნებოდა ჩემი მთავარი ორიენტირი,შევიმუშავე მთავარი საკვლევი კითხვა:

ა) როგორ დავეხმარო მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში?

ბ)ამ უნარის განვითარების ხელისშემსლელი ფაქტორი ხომ არ არის ლექსიკა და გაწაფული კითხვის უნარი?

გ) როგორია ოჯახის როლი,უწევენ თუ არა დახმარებას შვილებს?

დ) რომელი აქტივობები,მეთოდები და სტრატეგიები დაეხმარებოდა ჩემს მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრებაში?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე გეგმა,რომელიც დამეხმარებოდა პრობლემის მოგვარებაში.

III თავი კვლევის მეთოდოლოგია

3.1. სამიზნე ჯგუფის შერჩევა

ჩვენთვის და სკოლის ბაზაზე ჩასატარებელი კვლევისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უკვე არსებული საერთაშორისო კვლევებიდან კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ორ მიმართულებით წარიმართა: 1. მოზარდთა ტესტირება. 2. იმ გარემოს კვლევა, რომელშიც ყალიბდება მოსწავლის კითხვის უნარი (საგანმანათლებლო სისტემა, სასწავლო გეგმა, სკოლა, მასწავლებელი, ოჯახი და ა.შ.).

სასწავლო წლის დასაწყისიდანვე დავიწყე მუშაობა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე.

კვლევის ჩემ მიერ არჩეული მიმართულების ამოსავალი წერტილი ჩემივე პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარეობს. დიდი ხანია, ვმუშაობ მოსწავლეებში მხატვრული ტექსტების დამუშავება,გაგება-გააზრებასა და მათ როლზე მეორე ენის სწავლებისას. კვლევის ჩასატარებლად მჭირდებოდა კოლეგებთან,მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან თანამშრომლობა, რისთვისაც მზაობა გამოხატეს.

კვლევის დასაწყისში ,რომ დამედგინა მოსწავლეთა საჭიროებები მივმართე სკრინინგს,დაკვირვების შედეგად გამოვკვეთე მოსწავლეთა საჭიროებები და და დავიწყე მიზეზების ძიება.

3.2 მონაცემთა შეგროვება

ტესტირება: ტესტირებაში მონაწილეობდა ჩვენი სკოლის მეოთხე კლასის 15 მოსწავლე. დიაგნოსტიკური ტესტირებისათვის აქტიურად ვიყენებდი საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ტესტებს, რომელთა პილოტირებაც განხორციელდა და დაინერგა პროექტში მონაწილე სკოლებში. დასაწყისისათვის, რომელი მიმართულება იყო კლასისთვის პრობლემატური (ლექსიკა, გაგება/გააზრება თუ გაწაფული კითხვა), გამოვიყენე შესაბამისი ტესტები და გავაანალიზე მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის ხარისხი პრობლემაში ჩაღრმავების მიზნით. მაშასადამე, 3 ტიპის ტესტის ანალიზმა,მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებამ ნათელყო პრობლემის ხარისხი.

პერიოდი:რადგან საკვლევი ობიექტი იყო მეოთხე კლასი, პრობლემის გამოვლენიდან შედეგების შეჯამებამდე დაგვჭირდა პერიოდი 2018წ. სექტემბერი - 2019წ. მაისი.

3.3 ძირითადი საკვლევი საკითხები

ძირითადი საკვლევი საკითხები;

1.შეუძლიათ თუ არა ჩემს მოსწავლეებს წაკითხული ტექსტის გაგება;

2. შეუძლიათ თუ არა ჩემს მოსწავლეებს წაკითხულიდან ნაცნობი სიტყვების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გაგება;

3.კონტექსტზე დაყრდნობით შეუძლიათ თუ არა უცნობი სიტყვების ამოცნობა;

4.რა უშლიდათ ხელს ჩემს მოსწავლეებს ილუსტრირებული მცირე ზომის ტექსტის გაგებაში.

3.4 კვლევის მეთოდები /თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ გადავწყვიტე დამედგინა ჩემი მოსწავლეების ტექსტის გაგება-გააზრების უნარის დონე,რომელიც საშუალებას მომცემდა კვლევის დასასრულს გამეზომა მიღწეული შედეგი. შევაგროვე მონაცემები ,მონაცემთა შეგროვებისას კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი:

აღწერითი დაკვირვება : გამოვიყენე კვლევის საწყის ეტაპზე. კერძოდ, ვაძლევდი

მოსწავლეებს წასაკითხად ტექსტს და ვაკვირდებოდი ყველაფერს, რაც ხდებოდა: ვის

სურდა წაკითხვა, ვინ უსმენდა, ვინ იგებდა,ვინ ვერ კითხულობდა ,ვინ სვამდა შეკითხვებს წაკითხულის უკეთ გასაგებად. დავამზადე მონიტორინგის ფორმა, ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ვაკვირდებოდი სამ მოსწავლეს და ვინიშნავდი შედეგს ,რომელმაც ნათლად აჩვენა, რომ ჩემი საკვლევი კლასის მოსწავლეების უმეტესი ნაწილი ვერ ძლევდა სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს. სტანდარტის ინდიკატორები ჩაშლილი მქონდა ცხრილში **(იხილეთ დანართი N1).**

ფოკუსირებული დაკვირვება: მოსწავლეებს შევთავაზე სხვადასხვა სახის

ტექსტები და ვაკვირდებოდი, რომელს ირჩევდნენ მხატვრულს თუ სხვა სახისას, ვის

რომელი ტექსტი მოსწონდა და უკეთ იგებდა. მოსწავლეებს უნდა მოენიშნათ ტექსტის ის მონაკვეთები, სიტყვები, ფრაზები, რომლებიც გაუგებარი იყო მათთვის.მიზანმიმართულად დავიწყე რისკ ჯგუფის მოსწავლეების

წარუმატებლობის მიზეზების დადგენის ძიება.ფოკუსირებული დაკვირვებისას ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირება რისკ ჯგუფის მოსწავლეებთან,მაინტერესებდა რა ტიპის ინფორმაციას ვერ იაზრებდნენ,რა უშლიდათ ხელს ტექსტის გააზრებაში,ხომ არ უჭირდათ კითხვა. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ,რომ ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ,როგორც მწირი ლექსიკური მარაგი,ასევე არ იყვნენ გაწაფული მკითხველები.მიუხედავად იმისა,რომ გაგება-გააზრების ტესტები იყო ილუსტრირებული ,მოსწავლეები ვერ კონცენტრირდებოდნენ დავალებაზე და ელოდებოდნენ ,რომ პასუხები სხვებისგან მიეღოთ.**(იხილეთ დანართი N7)**

შერჩევითი დაკვირვება: სემესტრის ბოლომდე ინდივიდუალურად ვაკვირდებოდი რისკ ჯგუფის მქონე მოსწავლეებს ,დაკვირვება სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა ,როგორ გავწაფე კითხვაში და როგორ აითვისეს საჭირო ლექსიკა. პერიოდულად ვატარებდი დიაგნოსტიკურ ტესტირებებ(წინასწარი, შუალედური, საბოლოო);ლექსიკური მარაგის ტესტები და სიტყვების წაკითხვის ტესტები **(იხილეთ დანართი N2)** ამის პარალელურად მთელ კლასთან ვმუშაობდი მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრებაზე. შემქონდა მრავალფეროვანი აქტივობები და ვაკვირდებოდი,რომელი უკეთეს შედეგს მაძლევდა,მონიტორინგის შედეგებს ვინიშნავდი დაკვირვების ფორმაში.

ფოკუსჯგუფი (ჯგუფური ინტერვიუ) -მოვამზადე კითხვები (**იხ.დანართი N3**)დაბალი შედეგის მოსწავლეებისთვის, ჰქონდათ თუ არა ქართული წიგნები სახლში,კითხულობდნენ თუ არა მოსწავლეები წიგნებს ან უკითხავდნენ თუ არა მშობლები. გამოიკვეთა ,რომ სახლში არ კითხულობდნენ დამატებით საკითხავ ტექსტებს, მშობლებიც არ იყნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში.

ანკეტირება: ა)მშობლებს დავურიგე ანკეტის ფურცელი,სადაც აფიქსირებდნენ თავიანთ მონაცემებს,მე, პროექტორის საშუალებთ ვაჩვენებდი შეკითხვებს მათთვის გასაგებ(სომხურ ენაზე), რომ მშობლებს ინდივიდუალურად სწორად

დაეფიქსირებინათ პასუხები.**(იხ.დანართი N4)** ამ მეთოდმა საშუალება მომცა გამეგო კითხულობდნენ თუ არა მოსწავლეები სახლში მიცემულ მასალას,მშობლები ჩართული იყვნენ თუ არა მოსწავლეთა სწავლის პროცესში,უწევდნენ თუ არა დახმარებას შვილებს და ა.შ

ბ) საინტერესო იყო კოლეგების გამოკითხვა. გამოიკითხა (სომხური და ინგლისური ენის) მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან სამიზნე კლასის მოსწავლეებს. **(იხ.დანართი N5)** ეს კითხვარი შედგებოდა ღია და დახურული შეკითხვებისგან და მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ სურვილის შემთხვევაში დახურული კითხვისთვისაც გაეკეთებინათ დამაზუსტებელი კომენტარი. გამოკითხვა დაგვჭირდა იმის გასარკვევად, რომ გაგვეგო ჰქონდათ თუ არა წაკითხულის გაგება- გააზრების პრობლემა მათ საგნებშიც მეოთხე კლასის მოსწავლეებს.

3.5 კვლევის ვადები/გეგმა

თარიღი აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X								
სკრინინგტესტი	X								
დიაგნოსტიკური ტესტირება	X			X					X
მხატვრული ტექსტის გაგების ტესტი	X			X					X

სიტყვების წაკითხვის ტესტი	X			X					X
ლექსიკური მარაგის ტესტი	X			X					X
საკლასო დაკვირვირვება		X	X		X		X		X
მოსწავლეების გამოკითხვა		X							
კოლეგების გამოკითხვა		X							
მშობლების გამოკითხვა		X							
შედეგების გაცნობა მშობლებისთვის									X
კვლევის შედეგების კოლეგებთან გაზიარება									X

IV თავი. ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასება, მეთოდები, რეკომენდაციები

მონაცემთა ანალიზი: აღწერითი დაკვირვებისას მოსწავლეებში ნათლად გამოიკვეთა, რომ გაგება-გააზრების და ლექსიკის ტესტში მოსწავლეთა 40 % აქვთ დაბალი მაჩვენებელი.ხოლო ,სიტყვების წაკითხვის ტესტში მოსწავლეთა 46%-ს. ეს შედეგი საკმაოდა დამაფიქრებელი აღმოჩნდა,რადგან მოსწავლეთა ნახევარზე ცოტა ნაკლები ვერ აკმაყოფილებდა ესგ-ს მოთხოვნებს.

ფოკუსირებული დაკვირვებისას გამოიკვეთა,რომ მოსწავლეებს სათანადოდ არ ჰქონდათ განვითარებული მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების

წაკითხვისა და ზოგადი შინაარსის გაგების უნარი, ტექსტის გაგებაში ცალსახად ხელს უშლიდათ,როგორც მწირი ლექსიკური მარაგი, ის რომ არ იყვნენ გაწაფული მკითხველები.

მშობლებთა გამოკითხვის დროს გამოიკვეთა ,რომ მოსწავლეებს არ მიუწვდებათ ხელი ქართულ ლიტერატურაზე, ოჯახის წევრები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ეხმარებიან შვილებს სახელმწიფო ენის არცოდნის გამო,მოსწავლეები თავად უწევენ თავიანთ თავს მონიტორინგს.მასწავლებლების გამოკითხვისას გაირკვა,რომ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ ქართულ ენაში, ასეთივე დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ,როგორც მშობლიურ ენაში,ასევე ინგლისურ ენაში.

შერჩევთი დაკვირვება გამოვიყენე კვლევის დასკვნით ეტაპზე,მისი ანალიზისას გამოიკვეთა,რომ სწავლის პროცესში სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისას წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგებაში,სიტყვების წაკითხვასა და ლექსიკის დაუფლებაში უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ მოსწავლეებს,ამ ყველაფერს კი მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი მიჩვენებდა. პარალელურად ვმუშაობდი როგორც ტექსტის გაგების უნარის განვითარებაზე, ასევე მიღწეული შედეგის შეფასებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სვეტოვანი და წრიული დიაგრამა , სადაც ნათლად ჩანს პროგრესი სასწავლო წლის დასაწყისში,სემესტრის ბოლოს და წლის ბოლოს.

ა) მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების ტესტის შედეგები



ბ)ლექსიკის ცოდნაზე ორიენტირებული ტესტის შედეგები







გ)გაწაფული კითხვისთვის ტესტის შედეგები

სიტყვების წაკითხვის ტესტი







ფოკუსჯგუფის ანალიზისას გამიკვეთა ,რომ ინტერვიუში მონაწილე ვერცერთ მოსწავლეს სახლში ვერ ეხმარება უფროსი,ვერ უკითხავენ წიგნებს,არ აქვთ ქართული წიგნები.

ანკეტირებამაც იგივე პრობლემა გამოკვეთა,მშობლები აღიარებდნენ ,რომ არ იციან რას და როგორ მეცადინეობენ სახლში მათი შვილები ,ვერ ეხმარებიან,ვერ უწევენ მონიტორინგს მათ საქმიანობას.

ამრიგად, კვლევისას გამოიკვეთა,რომ მოსწავლეებს მხატვრული ტექსტების გაგებაში ხელს უშლიდა ენობრივი კომპეტენციის დაბალი დონეა, ჩემს სამიზნე კლასში იყვნენ სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მოსწავლეები, რომლებიც ვერ აფიქსირებდნენ ენის ფლობის გარკვეულ დონეს,ჩამორჩენა ჰქონდათ სწავლაში. სუსტი მოსწავლეებისთვის არ იყო გათვალისწინებული კითხვის უნარის განვითარებისათვის ხელშემწყობი დავალებები,რის გამოც სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეები ვერ ივითარებდნენ ამ უნარებს.

ასევე,მოსწავლეებს არ მიუწვდებათ ხელი ქართულ ლიტერატურაზე, მშობლები ვერ ეხმარებიან შვილებს,მაგრამ არიან გამონაკლისები (3 მოსწავლე,რომელთაც სამივე მიმართულებში, (ტექსტის გაგება,ლექსიკის ცოდნა და კითხვის ტექნიკა) კარგ

შედეგს აფიქსირებნენ,მაგრამ გამოკითხვებით დასტურდება,რომ ამ სამი მოსწავლის ოჯახური გარემო არაფრით განსხვავდება სხვა მოსწავლეთა გარემოსაგან,ესენი განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით გამორჩეული ბავშვებია.

4.1 განხორციელებული ინტერვენცია

იმისათვის,რომ წამოჭრილი პრობლემების ინტერვენცია მომეხდინა,

1. გავეცანი სათანადო მეთოდურ ლიტერატურას;

2. შევარჩიე დამატებითი საკითხავი ტექსტები www. kargiskola.ge –ზე

3. შევარჩიე მათი ასაკის შესაბამისი მხატვრული ტექსტები;ვთავაზობდი ბავშვებს სხვადასხვა ტიპის წიგნებს (როგორც თემატურად, ისე ზომის, ფორმისა და ყდის მიხედვით);მოვაწყეთ ,,კითხვის კუთხე" სადაც იყოს არა მარტო წიგნები, ასევე მასალები დიდი წიგნების დასამზადებლად;შევქმენით დიდი წიგნები ბავშვებთან ერთად

4. შემოვიღეთ კვირაში ერთი დღე ,,კითხვის დღე",რა დროსაც ხდებოდა ტექსტების კითხვა,შევქმენით კითხვისათვის განსაკუთრებული ატმოსფერო.

5• შევარჩიე ტექსტის-გაგება გააზრებისთვის საჭირო სასწავლო მეთოდები და აქტივობები: კლასტერული რუკა, პერსონაჟის რუკა, 5 კითხვა (ვინ? რა? როდის? სად? რატომ?), მახასიათებლების ცხრილი, კომიქსი.,აქტიურად ვიყენებდი გრაფიკულ ორგანიზატორებს.შექმენით ახალი „სიტყვების ყულაბა";აქტიურად ვმუშაობდი ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე,კონტექსტზე დაყრდნობით,სინონიმებისა და ანტონიმების მოშველიებით, ვიყენებდი გაწაფული კითხვის ხელშემწყობ აქტივობებს. და ა.შ

6• ვიყენებდი დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში

7• მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ და სახლში წაეღოთ წასაკითხად ჯიპრაიდის ილუსტრირებული წიგნები ,მათი ინტერესების გათვალისწინებით.

8. მოვაწყვეთ კითხვის ზეიმები/ღონისძიებები, სადაც ბავშვებმა თავიანთი შემოქმედება გამოავლინეს. ჩავრთეთ მშობლები, აგრეთვე და-ძმები სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელიც კლასში ჩავატარე და უკავშირდებოდა კითხვის უნარების განვითარებას,

9. ვახდენდი მოსწავლეთა მიმდინარე შედეგების მონიტორინგს.

10. წავიკითხეთ 10-მდე ტექსტი, მხატვრული ,ასევე სახელმძღვანელოში არსებული ტექსტებიც kargiskola.ge -ის რესურსები:მაგ.,,ლუკა და ლეკვი“ ;,,წერილი თოვლის ბაბუას“; ,,მეგობრები“;,,სალამური“ და ა.შ

(ტექსტების ნიმუშები იხილეთ დანართში)

4.2. ინტერვენციის შედეგები და დასკვნები

იმის შესამოწმებლად,თუ რამდენად ეფექტური იყო ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები,დავიწყე რეგულარი მონიტორინგი მოსწავლეთა მიღწევის შესაფასებლად.

პროცენტულმა მაჩვენებლებმა კარგად გამოკვეთა ის ძირითადი საჭიროებები,რომლებზეც მიზანმიმართულად დავიწყე მუშაობა,კითხვაში ჩამორჩენა ჰქონდა კლასის ნახევარზე მეტს ეს კი ხელისშემშლელია და გარკვეულ სირთულეებს ქმნის ტექსტის გაგება-გააზრების დროს. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო რომ მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა დიფერენცირებული სწავლება,სასწავლო პროცესი იმგვარად ყოფილიყო ორგანიზებული,რომ გამეთვალისწინებინა მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებები, უნარები და შესაძლებლობები. დიფერენცირებული სწავლებისას დავეყრდენი შემდეგ ძირითად პრინციპებს:გავითვალისწინე მოსწავლეთა განსხვავებული მონაცემები,მიღწევები,გადავანაწილე სამუშაო ჯგუფებში ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები;ყველას მივაწოდე უკუკავშირი კითხვის პროცესში და წერითი ნამუშევრების შესრულებისას.

აქტიურად ვიყენებდი მართული კითხვის მეთოდს,შესაფერისი ტექსტის წაკითხვას და დამუშავებას კონკრეტული უნარების/სტრატეგიების დაუფლების მიზნით,რომელიც საშუალებას მაძლევდა გამეთვალისწინებინა თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს დახმარებოდა კითხვის უნარის განვითარებაში.

გადავწყვიტე მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა შინაარსობრივად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი,ასაკისთვის შესაფერისი საკითხავი მასალა,მოვარგე ეროვნული სასწავლო მიზანს. ვიყენებდი საჩვენებელ ,ერთობლივ,მართულ და დამოუკიდებელ კითხვას,სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებისთვის.პირველ ეტაპზე მიზანმიმართულად დავიწყე მუშაობა ლექსიკის გამდიდრებაზე,მოსწავლეებს ვთავაზობდი სხვადასხვა მრავალფეროვან აქტივობებს,რადგან გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების უმთავრესი მიზეზი სწორედ ლექსიკური მარაგის სიმწირეა,ამისთვის ვიყენებდი,როგორც ვერბალურ ისე არავერბალურ მეთოდებს,ვაჩვენებდი რეალურ საგნებს,ვიყენებდი ნახატებს,ილუსტრაციებს,პოსტერებს,ვთამაშობდით როლებში.

ასევე გადავწყვიტე,კითხვის უნარების განვითარებისა და მოქნილი კითხვისთვის შემექნა დიდი წიგნები :,,მართა და სამი დათვი“, ,,ბელა და ბლის ხე“ , ,,მოუსვენარი ფისო“ და გამომეყენებია სასწავლო მოზნებისთვის. მეთოდის აქტიურად გამოყენებამ მიმიყვანა ეფექტურ შედეგამდე:მოსწავლეებმა შეძლეს მთლიანი სიტყვის ამოკითხვა; გაიუმჯობესეს კითხვის ტექნიკაწაკითხულიდან აზრის გამოტანა; ტექსტის მთლიანობაში აღქმა და თავისი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხულის მიმართ. **(დიდი წიგნების სურათები იხ .დანართში).**

მე და ჩემმა კოლეგებმა შევქმენ ფონეტიკური სიუჟეტიანი ტექსტები,რომელსაც მიზანმიმართულად ვიყენებდი.ბავშვებს ძალიან ახალისებდათ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები,რომელიც მათთვის იქმნებოდა.

მოქნილი კითხვის უნარის დასაუფლებლად არსებობს ორი სახის ინტერვენცია: განმეორებითი ხმამაღალი კითხვა (ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და მოსმენა) და მრავალფეროვანი ტექსტების ერთჯერადად წაკითხვა (სხვადასხვა სახის ტექსტების რეგულარულად კითხვა).

ერთი და იმავე ტექსტის განმეორებითი კითხვა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გაზარდოს სიტყვების რაოდენობა, რომელთა წაკითხვასაც ის ავტომატურად შეძლებს. შესაბამისად, იზრდება კითხვის სისწრაფეც, ანუ მოსწავლე სულ უფრო თავისუფლად კითხულობს ტექსტს.ამისთვის აქტიურად გამოვიყენე ღონისძიებები:,,შემოდგომის ზეიმი“ ,,,ახალი წლის ზეიმი“; ,,საქართველო არის ესე“; ,,დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“;,,ჯიპრაიდის სასწავლო მასალაზე დაყრდნობით-ინსცენირება ,,ბელა და ბლის ხე“ ,,ხელთათმანი“ ,,სოფელში“.

ისეთი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სერიოზული პრობლემები ჰქონდათ კითხვაში პერიოდულად ვიყენებდი მოდელირების მეთოდს: ექოსებური კითხვა,წყვილებში კითხვა,გოგოები-ბიჭები;კითხვის მატარებელი და ა.შ.

რაც შეეხება ტექსტზე მუშაობას ,აქ ყველაზე გავრცელებული დავალებაა პასუხის გაცემა, ე.წ. „შინაარსზე ორიენტირებულ“ შეკითხვებზე. მაგ. ვინ იყო პეპი? როგორი გარეგნობა აქვს მას ? სად ცხოვრობდა წითელქუდა ? ვისთან მეგობრობდა ბომბორა? ასეთ ტიპის შეკითხვებზე არ უჭირდათ პასუხის გაცემა,რადგან ეს არის ფაქტობრივი შეკითხვები რომელიც მოითხოვს პირდაპირ პასუხს ტექსტიდან,მაგრამ ეს ვერ განუვითარებს კითხვის უნარ-ჩვევას.ამიტომ მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეებს შეძლებოდათ ალტერნატიული მეთოდით მუშაობა,რომელიც ითვალისწინებს ტექსტის შინაარსისგან დამოუკიდებელ შეკითხვებზე პასუხის გაცემას: რას ეხება ტექსტი? რა არის ძირითადი აზრი ამ ტექსტში?

ამ მიმართულებით მრავალფეროვანი აქტივობებისა და მიდგომების გამოყენება გახდა საჭირო ,რომ შედეგისთვის მიმეღწია.

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით ასევე, დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები:

ინტერვენცია 1. „კითხვის კუთხე“

მიზანი: მოსწავლეებში კითხვისადმი მოტივაციის ამაღლება,კითხვის უნარის გაუმჯობესება.

კლასის ერთ კუთხეში მოვაწყეთ საკითხავი სივრცე.განვათავსე ჯიპრაიდისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ მოწოდებული ილუსტრირებული წიგნები (დონეებად დაყოფილი წიგნები).

კვირაში ერთი დღე (2 გაკვეთილი)გამოყოფილი გვქონდა ტექსტების წასაკითხად.

ინტერვენცია 2. „სიტყვის ყულაბა“

მიზანი: მოსწავლეებში ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

გაკვეთილზე შესწავლილი ახალი ტექსტიდან ვინიშნავდით უცხო სიტყვებს ,შემდეგ კონტექსტიდან გამომდინარე ერთად განვმარტავდით ,ვწერდით ფურცელზე და

ვათავსებდით კედელზე დაკიდებულ ყულაბაში და ყოველი კვირის ბოლოს ვიღებდით და ვიმეორებდით სიტყვებს., ამ სიტყვების გამოყენებით ვწერდით წინადადებებს,ვავსებდით ტექსტიში გამოტოვებულ ადგილებს და ა.შ

ინტერვენცია 3. „დაკარგული სიტყვები“

მიზანი: ლექსიკურ მარაგის გამდიდრება ; სიტყვის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით;

წინასწარ შევარჩიე მცირე ზომის ადაპტირებული მხატვრული ტექსტი (მართა და სამი დათვი;თალგამი;ჭკვიანი ბოცო), საიდანაც ამოვიღე რამდენიმე სიტყვა.

ეს სიტყვები ადვილად ამოსაცნობი იყო მათთვის ,როგორც კონტექსტიდან გამომდინარე ისე ილუსტრაციებიდან ,მოსწავლეებს ყურადღებით უნდა წაეკითხათ ტექსტი და მოეძებნათ „დაკარგული სიტყვები“ .

ინტერვენცია 4. „მნიშვნელოვანი სიტყვები“

მიზანი: მოსწავლეები იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;ივითარებდნენ ახალ სიტყვებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევას;

ინტერვენცია 5. „წყვილებში კითხვა“

გაკვეთილზე ხშირად ვიყენებდი წყვილებში კითხვას

მიზანი: დახმარებოდნენ ერთმანეთს გაწაფული კითხვის უნარის განვითარებაში;

მიეცათ ერთმანეთისთვის სტიმული;მოეხდინათ ყურადღების კონცენტრირება;განვითარებოდათ თანამშრომლობითი და ურთიერთდახმარებით სწავლის უნარი.

ინტერვენცია 6 , ,გამეორებითი კითხვის მეთოდი“.

წუთში სწორად წაკითხული სიტყვები(წსწს)მასალას ვიღებდი ჯიპრაიდიდან. ვაკითხებდი კლასში,ვინიშნავდი წამზომს,კითხულობდნენ და ვიწერდით შედეგს ,შემდეგ ვატანდი სახლში სიტყვებს წასაკითხად და ვთხოვდი, რამდენჯერმე წაეკითხათ,რომ სკოლაში უკეთესი შედეგი დაეფიქსირებინათ.მოსწავლეები ძალიან ხალისობდნენ და ცდილობდნენ შედეგის გაუმჯობესებას.ხშირად მთხოვდნენ ამ მეთოდით გვემუშავა.

გამეორებითი კითხვის მეთოდის აქტიურად გამოყენებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს კითხვის ტემპი გაეზარდათ,სიტყვები უშეცდომოდ

ამოეკითხათ,სათანადო ინტონაციით წაეკითხათ ტექსტი,მონიტორინგი გაეწიათ თავიანთი შედეგის პროგრესისათვის.

ინტერვენცია 7 ,,კითხვის მატარებელი“

გაწაფული კითხვისათვის აქტიურად ვიყენებდი აქტივობას ,,კითხვის მატარებელი, კითხვის პროცესი ტექსტის დასრულებამდე გრძელდებოდა, ხან გამეორებითაც კითხულობდნენ ტექსტს. ამ მეთოდმა მოსწავლეებს ხელი შეუწყო კითხვის ტემპი გაეზარდათ,უშეცდომოდ ამოეკითხათ სიტყვები,სათანადო ინტონაციით წაეკითხათ ტექსტი,მონიტორინგი გაეწიათ თავიანთი შედეგის პროგრესისათვის.

ინტერვენცია 8, ,როლური კითხვა“

ვიყენებდი როლურ კითხვას, მოსწავლეებს წყვილებში ან ჯგუფში ვაძლევდი ტექსტს ,რომ

ევარჯიშათ დიალოგური ტიპის ეპიზოდის როლურად წაკითხვაში. წარმოვადგინეთ მინი სპექტაკლი,,ხელათმანი“, ,,ბელა და ბლის ხე“ , ,სოფელში“ -მასალა ავიღეთ ჯიპრაიდის საკითხავი წიგნებიდან,ასევე ,,საახალწლო ზღაპარი“.

ინტერვენცია 9. **როდესაც ვაძლევდი ახალი ტექსტს ვცდილობდი სხვადასხვა სტრატეგიებით გაიოლებული ყოფილიყო მათთვის კითხვა** პირველ ეტაპზე უპირატესობას ვანიჭებ აღქმითი ხასიათის სავარჯიშოებს (ამოიცანი, დააჯგუფე, იპოვე, დააკავშირე, შეადარე, გადაახარისხე და სხვა), მაგრამ შექმნაზე ორიენტირებული მიზნისკენ სვლის პროცესში თანდათანობით იმატებს და პრიორიტეტულ ადგილს იჭერს შექმნა-წარმოებაზე მიმართული სავარჯიშოები (ნიმუშის მიხედვით შეცვალე, გადააკეთე, შეადგინე, დაასრულე და სხვა).

ტექსტამდელ ფაზაში მოსწავლეებს ისეთი დავალებებს ვაწოდებდი ,რომ გაიოლებოდათ ტექსტის წაკითხვა.ვაჩვენებდი თვალსაჩინოებას,გამომქონდა ახალი ლექსიკური ერთეულები,ერთობლივად ვცდილობდი გაგვემარტა.

ტექსტის კითხვის დროს ვკითხულობდით ცალკეულ ნაწილებს და ვასათაურებდით,ვაკავშირებდით ილუსტრაციასთან,პასუხობდნენ ფაქტობრივ შეკითხვებს.

ტექსტზე მუშაობის შემდგომი ფაზაში ვსაუბრობდით პერსონაჟზე,ვახასიათებდით,გამოვყოფდით მსგავსება-განსხვავებას,ვადარებდით თანატოლებს და ა.შ

ინტერვენცია 10. ,,**შეკითხვების დასმა**" - მოსწავლე სვამს სხვადასხვა დონის შეკითხვებს ტექსტის მნიშვნელოვანი ელემენტების შესახებ: ,,ვინ? რა? სად?რატომ...? როგორ...?

ასევე ვიყენებდი გრაფიკულ ორგანიზატორებს(ვენის დიაგრამა და ასოციოგრამა), რომელიც მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარებოდა.

4.3 ძირითადი დასკვნები

განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ საჭირო გახდა დამედგინა და შემეფასებინა,

თუ რამდენად ეფექტური და შედეგიანი იყო ის ქმედებები, რომლებიც გაწაფული

კითხვის,ლექსიკის სწავლების და ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების გასაუმჯობესებლად დავგეგმე მეოთხე კლასელებთან. კერძოდ,პასუხი უნდა გამეცა შემდეგ კითხვებზე:

ა)სწორად მქონდა თუ არა დაგეგმილი პრობლემის მოსაგვარებელი ინტერვენციები;

ბ)კონკრეტულად როგორ შეიცვალა მდგომარეობა განხორციელებული საქმიანობის შედეგად

გ)გაუმჯობესდა თუ არა გაწაფული კითხვის უნარი,შეიძენეს თუ არა მათვის საჭირო ლექსიკა, გაიუმჯობესეს თუ არა მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი.

დ) რა ხარვეზებმა იჩინა თავი კვლევის მიმდინარეობისას.

ე) სამომავლოდ ,როგორ გავაგეძელებ მუშაობას დარჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მიღწეული შედეგი: პირველადი და საბოლოო მონაცემები წარმოვადგინე ცხრილისა და დიაგრამის სახით შემდეგნაირად:

15 მოსწავლე	,,მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების ტესტი“			,ლექსიკის ცოდნაზე ორიენტირებული ტესტი“			,,სიტყვების წაკითხვის ტესტი“		
	კარგი	საშ.	დაბალი	კარგი	საშ.	დაბალი	კარგი	საშ.	დაბალი
წლის დასაწყისში	4	5	6	3	6	6	5	3	7
სემესტრის ბოლოს	4	6	5	4	6	5	6	5	4
სასწავლო წლის ბოლოს	7	6	2	7	7	1	8	6	1

აქ ნათლად ჩანს თუ ნელ-ნელა როგორ გაიზარდა პროგრესი.,,სიტყვების წაკითხვის ტესტისა“ და ,,ლექსიკის ცოდნაზე ორიენტირებული ტესტის “ შედეგი ასე გამოიყურება, წლის ბოლოს დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ერთმა ბავშვმა აჩვენა.,,მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების ტესტიში“ დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ორმა მოსწავლემ აჩვენა,შეცდომები ძირათადად ჰქონდათ ისეთ დავალებებში რომელიც უშუალო დასკვნების გამოტანას მოითხოვდა და კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ იძებნებოდა ტექსტში.მოსწავლეებს ყველაზე მეტად

გაუადვილდათ ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა. ნაკლებად უჭირდათ ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრეფა. შედეგები სასწავლო წლის ბოლოს გავაცანი მშობლებს (**იხ .დანართი N6** შედეგების ფურცელი მშობლებისთვის).

4.4 კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევის პროცესში ჩემი ინტერვენციები იყო შედეგზე ორიენტირებული და მიზანმიმართული,კვლევის ბოლოს შევძელი პასუხი გამეცა დასაწყისში ჩემ მიერ დასმულ კითხვებისთვის ,რომ მოსწავლეებისთვის

- მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია გაწაფულ კითხვასა და ლექსიკურ მარაგს.
- მუდმივად უნდა განხორციელდეს უწყვეტად მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი ;
- სწავლების პროცესში უნდა გამოვიყენოთ დიფერენცირებული მიდგომა,განსხვავებული აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა პროგრესისათვის.
- სწავლებაში უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებები;
- სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის ურთიერთთანამშრომლობა;
- ხელი შევუწყოთ წიგნიერი გარემოს შექმნას სკოლასა თუ სახლში.
- გამოვიყენოთ მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები ,გავამრავალფეროვნოთ სასწავლო პროცესი.

4.5. მიღებული შედეგების შეჯამება

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა,რომ მიმდინარე სასწავლო წელს ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა სახელწოდებით,, როგორ გავაუმჯობესოთ დილისკის N 1 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებში მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება“მნიშვნელოვანი

იყო,ამ მიზნით ჩავატარე მოსწავლეებთან დიაგნოსტიკური ტესტირება ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის მიზნით, გავაანალიზე კვლევისათვის შეგროვებული მონაცემები, მოვიძიე, გავეცანი და დავამუშავე კვლევის მიზნის შესაბამისი ლიტერატურა, შევარჩიე კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მეთოდები, დავგეგმე საჭირო ინტერვენციები, რომლებიც დამეხმარებოდა მიზნის მიღწევაში. მოსწავლეებში მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების წაკითხვასა და ზოგადი შინაარსის გაგების გასაუმჯობესებლად დავგეგმე მრავალფეროვანი აქტივობები/მეთოდები და დავიწყე მათი განხორციელება. კვლევის ბოლოს შედეგების შემოწმების მიზნით ჩავატარე განმეორებითი სადიაგნოსტიკო ტესტირება. მეორადი შედეგების გაანალიზების შემდეგ გამოვკვეთე რამდენიმე მიგნება, შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებსაც გავითვალისწინებ შემდგომი მუშაობისას. კვლევის შედეგების გაცნობა, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ჩემი კოლეგებისთვისაც.

აღნიშნული კვლევის ლინკი: https://drive.google.com/drive/my-drive

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია)

1. ,,გზამკვლევი მასწავლებლებისთვის“ I-VI კლასები ,ეროვნული სასწავლო გეგების ცენტრი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვ.191-196, თბილისის 2011

2.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,თბილისი,2010

3. ,, ეროვნული სასწავლო გეგმა-2011-2016 წლები''ეროვნული სასწავლო გეგების ცენტრი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

4.,,კითხვის სწავლების განსხვავებული სტრატეგიები სხვადასხვა საგანში” კეროლინ ჩეპმენი; რიტა კინგი ; თბილისი 2016.

5.,,კითხვისა და წერის სტრატეგიები” -მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,თბილისი, 2015.

6..კითხვის ეფექტური მეთოდები,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,თბილისი,2010

7.წიგნიერება-მასწავლებლის სახელმძღვანელო, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი ,პაატა პაპავა. თამარ ჭანტურია,თბილისის 2012

8. წიგნიერება-მასწავლებლის სახელმძღვანელო,ირინა სამსონია,სამოქალაქო განვითარების ინსტისტუტი,თბილისი,2013

.9PIRLS 2011, წიგნიერება, კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2013.

10. PIRLS 2006, წიგნიერება, კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008.

ელექტრონული რესურსები:

• ზურაბიშვილი თ. სოციალურ მონაცემტა ცენტრი, თვისებრივი მმეთოდები

სოციალურ კვლევებში. საიტის მისამართი:

http://www.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf

• კარგი სკოლა- საგანმანათლებლო ვებ პორტალის რესურსები.

მისამართი: http://www.kargiskola.ge/

როგორია ქართული ენის ცოდნის დონე არაქართულენოვან მოსწავლეებში - სახელმწიფო შეფასება„ლიბერალი";ახალი ამბები / განათლება;

07 მაისი, 2018

http://liberali.ge/news/view/36398/rogoria-qartuli-enis-tsodnis-done-araqartulenovan-mostsavleebshi--sakhelmtsifo-shefaseba

• ჩახაია ლ. 10.01.2014. ინტერნეტგაზეთი, პრაქტიკული საკლასო კვლევა, საიტის მისამართი: http://mastsavlebeli.ge/?p=2132

დანართები

დანართი N1 დაკვირვების ფორმები

ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება

3- მაღალ დონეზე გამოავლინა; 2- საშუალო დონეზე გამოავლინა ; 1 - საჭიროებს გაუმჯობესებას

თვე და რიცხვი	N	მოსწავლე (სახელი და გვარი)	მოსწავლე ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატს,მიზანს).	ტექსტში პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას;	აკავშირებს კონკრეტულ შინაარსს სათანადო აბზაცთან, ილუსტრაციას შესაბამის ეპიზოდთან / წარწერის შინაარსთან;	ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობას;	ჯამური ქულა

ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება.

3- მაღალ დონეზე გამოავლინა; 2- საშუალო დონეზე გამოავლინა ; 1 - საჭიროებს გაუმჯობესებას

თვე და რიცხვი	N	მოსწავლე (სახელი და გვარი)	განარჩევს ავტორისა და პერსონაჟის სიტყვებს;	ტექსტში პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას;	ავლენს ტექსტზე მუშაობის საწყისს ჩვევებს (მაგ., საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას);	ავლენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ	ჯამური ქულა

ქ.მ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების გამოყენებით ხმამაღალი (გამართული და გაწაფული) კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევის გამოვლენა

3- მაღალ დონეზე გამოავლინა; 2- საშუალო დონეზე გამოავლინა ; 1 - საჭიროებს გაუმჯობესებას

თვე და რიცხვი	N	მოსწავლე (სახელი და	თავისუფლად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ	კითხულობს შესაბამისი ინტონაციი	ავლენს ტექსტზე მუშაობის საწყისს	ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს	ჯამური ქულა

		გვარი)	ტექსტებს;	თა და პაუზების გამოყოფით;	ჩვევებს (მაგ., საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას);	არავერბალურ მეტყველებას.	

დანართი N2

ინდივიდუალური დაკვირვების ფორმა 1

მოსწავლე: სახელი ----------გვარი ----------

უნარი, რომელსაც ვაკვირდები:ქ.მ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება

3- მაღალ დონეზე გამოავლინა; 2- საშუალო დონეზე გამოავლინა ; 1 - საჭიროებს გაუმჯობესებ

თვე და რიცხვი	N	მოსწავლე (სახელი და გვარი)	მოსწავლე ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატს,მიზანს).	ტექსტში პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას;	აკავშირებს კონკრეტულ შინაარსს სათანადო ილუსტრაციას ეპიზოდთან/წარწერის შინაარსთან;	ამოიცნობს მოვლენათა თანმიმდევრობას;	ჯამური ქულა

დანართი 3

ინტერვიუს კითხვები მოსწავლეებისთვის:

1.სახლში გიკითხავენ თუ არა ქართულ ენაზე წიგნებს მშობლები?

კი O არა O

2.გაქვთ თუ არა სახლში ქართული წიგნები?

კი O არა O

3.გიყვარს თუ არა ილუსტრირებული ტექსტების კითხვა?

კი O არა O

4. სახლში კითხვისას ვინ გიწევს დახმარებას?

ოჯახის წევრი O არავინ არ მეხმარება O

5. როგორი კითხვა უფრო მოგწონს?

ხმამაღალი კითხვა O ჩუმი კითხავა O

დანართი N4 მშობელთა გამოკითხვის ანკეტა

თარიღი:----------

მოსწავლე:----------

მშობელი:----------

N	კითხვები	დიახ	არა	ზოგჯერ/იშვიათად	შენიშვნა
1	სჭირდება თუ არა შეხსენება თქვენს შვილს,რომ შეასრულოს დავალებები?				
2	ასრულებს თუ არა დავალებებს დამოუკიდებლად?				
3	ასრულებს თუ არა დავალებებს ხალისით?				
4	რა სიხშირით მოგმართავთ მშობლებს ან უფროსებს დახმარებისთვის?				
5	კითხულობს თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?				
6	რამდენად ხშირად ეკონტაქტებით მასწავლებლებს შვილის წარმატებების შესახებ ინფორმაციისთვის?				
7	უჭირს წაკითხული /მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება?				
8	ეხმარებით თუ არა წაკითხვის დროს?				

9	გიზიარებთ თუ არა თქვენი შვილი სკოლაში მიღებულ შთაბეჭდილებებს?				
10	რამდენჯერმე კითხულობს გაკვეთილს შესასწავლად?				

N	ღია დაბოლოებიანი შეკითხვები	პასუხები
1	თქვენი შვილი კითხულობს საკუთარი სურვილით, თუ მშობლების მითითებით?	
2	გაკმაყოფილებთ თუ არა თქვენი შვილის ძალისხმევა და სიბეჯითე? რატომ?	
3	თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია, გარდა მასწავლებლის მცდელობისა , ოჯახის ფაქტორი?	
4	რას ურჩევდით მასწავლებლებს , იმისათვის რომ თქვენმა შვილმა მეტ წარმატებებს მიაღწიოს?	

მასწავლებელთა კითხვარი N5

გამოვკითხე ინგლისურისა და სომხური ენის მასწავლებელი,(რომელიც ამავე დროს დამრიგებელიც არის და სხვადასხვა საგნებსაც ასწავლის)

კითხვარი მასწავლებლებისთვის

თარიღი:----------

მასწავლებელი:----------

N	კითხვები	დიახ	არა	ზოგჯერ/იშვიათა	შენიშვნა

				დ	
1	უჭირთ მოსწავლეებს წაკითხული ტექსტების გაგება-გააზრება?				
2	ადვილად იგებენ დავალებათა ინსტრუქციებს?(გთხოვთ, განმარტოთ პასუხი)				
3	ლექსიკური მარაგის არცოდნა ხელისშემშლელია თუ არა წაკითხულის გააზრებისთვის?				
4	გაწაფული კითხვა ხელს უშლით თუ არა ტექსტის გაგებას?				

	ღია დაბოლოებიანი შეკითხვები	პასუხები
1	რა მეთოდს იყენებთ წაკითხულის/მოსმენილის გაგება-გააზრების უნარ-ჩვევის გასავითარებლად მოსწავლეებში?	
2	თქვენი აზრით,რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახის ფაქტორი გაგება-გააზრების უნარის განვითარებისთვის? რატომ?	

დანართი 6.

მოსწავლეთა წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ფურცელი მშობლებისთვის

კრიტერიუმები	**საკლასო დაკვირვებისა და ტესტირებების შედეგები**		
	წინასწარი (სასწ.წლის	**შუალედური**	**საბოლოო (წლის ბოლო)**

	დასაწყისი)		
კითხვის ხარისხი			
ერთ წუთში წაკითხულ სიტყვათა რაოდენობა			
ლექსიკის ტესტის შედეგები			
წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების ხარისხი			

დანართი N7 ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების გაგება



ბიჭი და წიგნი

თაროზე ბევრი წიგნია. ბიჭი ერთ წიგნს იღებს.

ამ წიგნს წითელი ყდა აქვს. წიგნში სურათებია. ბიჭს ძალიან მოსწონ
ერთი სურათი. სურათზე არის ორი ზებრა. იქ დიდი ასოებით წერია „ზებრ

ბიჭს უყვარს ცხოველები. სახლში მას ლეკვი ჰყავს. ეზოში ორი კუ ცხო
რობს. იქვე ორი ცხენია და ერთი კვიცი.

ბიჭი სურათებს უყურებს. წიგნში არის კუს სურათი. ძაღლის სურათი
არის. მას ძალიან უყვარს ეს წიგნი.

ბიჭი წიგნს თაროზე დებს. ის იღებს ფურცელს და კალამს. ბიჭი ძაღ
ხატავს. მას ძალიან უყვარს ხატვა.



ტექსტის მაგება

1. **რის შესახებ არის წიგნი, რომელიც ბიჭს უყვარს?**
   ა) ლეკვის შესახებ.
   ბ) ცხოველების შესახებ.
   გ) ხატვის შესახებ.

2. **სად დევს წიგნი?**
   ა) თაროზე. ბ) მაგიდაზე. გ) სკამზე.

3. **რა ფერის ყდა აქვს წიგნს?**
   ა) თეთრი. ბ) მწვანე. გ) წითელი.

4. **რა ჰყავს ბიჭს სახლში?**
   ა) ზებრა. ბ) კნუტი. გ) ლეკვი.

5. **წიგნში არ არის:**
   ა) ზებრას სურათი. ბ) კუს სურათი. გ) ძაღლის სურათი.

6. **მონიშნე „კი" ან „არა".**

№	წინადადება	კი	არა
1.	ეზოში სამი კუ ცხოვრობს.		
2.	ბიჭს ძალიან უყვარს წითელყდიანი წიგნი და ხატვა.		
3.	ბიჭი იღებს ფურცელს და ხატავს კატას.		



ლექსიკა

1 შეარჩიე საჭირო სიტყვა და ჩაწერე წინადადებაში.

დებს. ილებს. უყურებს.

ბიჭი თაროდან წიგნს _____.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) თარო. ბ) წიგნი. გ) ყდა. დ) ფურცელი.

3 დაწერე საჭირო სიტყვა.

ცხენს ჰყავს პატარა _____

გრამატიკა

1 შეარჩიე საჭირო სიტყვები.

1. ორი ზებრა არის _____.

ა) სურათთან. ბ) სურათში. გ) სურათზე.

2. _____ უყვარს ცხოველები.

ა) ბიჭი. ბ) ბიჭმა. გ) ბიჭს.

3. ბიჭი ხატავს _____

ა) ძაღლი. ბ) ძაღლმა. გ) ძაღლს.



გრამატიკა

2 რომელია სწორი?

ა) წიგნში ბევრი სურათია.

ბ) წიგნში ბევრი სურათებია.

3 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

მხოლობითი	მრავლობითი
ზებრა	ზებრები
ცხენი	_____
კუ	_____
ლეკვი	_____

ნერა

დაწერე, რომელია შენი საყვარელი ცხოველები. დახატე ისინი.



G-PRED

სიტყვების წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

ბოგი	ტუდი	რრეკა	ფოზა	საუკეიკი	5
ეუდი	ზველ	ძესლ	ბაფი	ტერიერია	10
შერია	ბალი	ბამალ	ბარკა	დაკერდი	15
მაკი	ანარ	ططრი	ფუკარ	დედამწუ	20
ზერეკ	ბუნაკ	ნასათ	კოშარტ	მიღინინით	25
ალამს	ნარი	ტალეტი	ეკერეს	გაფერადეთ	30
მუსტერ	დარაზი	ირეანრმა	დიდხან	მოფლეი	35
ნამოკი	მალუნა	ბრეკლ	კამფარი	ტანიზა	40
მეზალარე	სკესარი	ფურეკლ	ოიტრი	ფრინველ	45
ტანლად	ეარეში	ანფაზ	ფელფრი	დიმოზერი	50
ვარრეკა	სარტეკ	სალეფოთ	ეფერიდა	ალმანელრი	55
პირდაპარ	ტრადიეი	ბარტალელ	მოგეანმენი	დაკეკმარ	60

ჯამური ქულა _____ 60-დან



პირველი მაგალითი:

ლალის თეთრი კაბა აცვია. კაბა არის:

ა) საჭმელი ბ) ფეხსაცმელი (გ) ტანსაცმელი

უნდა შეამოიხაზო პასუხი გ) ტანსაცმელი, რადგანაც ამ წინადადებაში კაბა ტანსაცმელი.

მეორე მაგალითი:

ლორი ცხოვრობს სალოგინეში. ძროხა ცხოვრობს ფანჯარაში.

ა) საძინებელში (ბ) ბოსელში გ) საძროხეში

უნდა შეამოიხაზო პასუხი ბ) ბოსელში.

ასეთ წინადადებაში არ ჩაწეროთ გამოტოვებული სიტყვა. მხოლოდ შემოიხაზეთ

1. წელიწადში არის ოთხი .დრო.....

(ა) დრო. ბ) დღე. გ) თვე.

2. გუშინ იყო კვირა, დღეს არის ორშაბათი

(ა) ორშაბათი. ბ) პარასკევი. გ) შაბათი.

3. დღეს 28 აპრილია, რამდენიმე დღეში დაიწყება მაისი...

ა) თებერვალი. (ბ) მაისი. გ) მარტი.

4. ეს მეხუთე სართულია. ზევით იქნება .მეექვსე სართული.

(ა) მეექვსე. ბ) მეოთხე. გ) მეორე.

5. გია და ია დეიდაშვილები არიან. დეიდაშვილი არის:

(ბ) დედის დის შვილი.

ბ) დედის ძმის შვილი.

გ) მამის-დის შვილი.



6. საზამთრო არის ...
ა) მრგვალი. ბ) სწორი. გ) წვრილი.

7. გიას უფროსი და ...
ა) არის. ბ) აქვს. გ) ჰყავს.

8. გია გაკვეთილზე მერხთან ზის და წიგნს ...
ა) კითხულობს. ბ) წერს. გ) ხატავს.

9. იას თბილი პალტო ... და არ სცივა.
ა) აცვია. ბ) ახურავს. გ) უკეთია.

10. დათვი ტყეში ბინადრობს. ბინადრობს არის:
ა) დარბის. ბ) სძინავს. გ) ცხოვრობს.

11. იატაკი არის ქვევით, ჭერი - ...
ა) ზევით. ბ) წინ. გ) უკან.

2. იას სათვალიანი მეგობარი ჰყავს. სათვალიან
ა) მოსწონს. ბ) უკეთია. გ) უხდება





რეფლექსია

ჩემი პედაგოგიური კვლევა , ,,როგორ გავაუმჯობესოთ დილისკის N 1 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებში მცირე ზომის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ზოგადი შინაარსის გაგება'' , განვახორციელე 2018-2019 სასწავლო წლის სექტემბრიდან მაისის ბოლომდე. კვლევის ანგარიში წარვუდგინე პედაგოგიურ კოლექტივს,განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ქართული,როგორც მეორე ენის ასევე, სომხურის,ინგლისურის ,რუსული ენის

მასწავლებლებში. მათ იცოდნენ ჩემი საკვლევი თემის შესახებ, რადგან ხშირად მიწევდა მათთან სხვადასხვა საკითხის განხილვა,მაგრამ ძირითად ნაშრომს , ყველა განხორციელებულ ინტერვენციას, არ იცნობდნენ. მათ დააინტერესათ როგორ დავგეგმე ,რა ეტაპები გავიარე,როგორ მივაღწიე მიზანს,მონაცემები წარვუდგინე სვეტოვანი და წრიული დიაგრამების სახით,თვალსაჩინოებაში კარგად ჩანდა ის პროგრესული წინსვლა,რომელიც ეტაპობრივად ჩემი განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მივიღე. კვლევის წარდგენისას კარგად დავინახე კვლევის ჩატარების ღირსებები და ის ხარვეზებიც,რომელიც კვლევის პროცესში გამოიკვეთა.მართალია,შედეგს მნიშვნელოვნად ვერ შეცვლიდა,მაგრამ თვისობრივი ანალიზის საშუალებას მომცემდა .წარდგენის შემდეგ მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ მნიშვნელოვან სარგებელზე,რომელსაც ჩატარებულ კვლევისას მიიღებენ.მათვის ძალიან საინტერესო იყო ის აქტივობები და მეთოდები,რომლებიც დამეხმარა შედეგების ცვლილებაში.უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მათთვის ეს მეთოდები უცხო და საინტერესო იყო და გამოთქვეს სურვილი მათაც გამოეყენებინათ სასწავლო პროცესში,განსაკუთრებით დაინტერესდნენ სკრინინგ ტესტით,დიაგნოსტიკური ტესტებით ,რომელიც საშუალებებს გვაძლევს დავადგინოთ მოსწავლეთა ,როგორც წარმატებების , ასევე,წარუმატებლობის მიზეზები.

პედაგოგები დაინტერესდნენ,თუ როგორ შეიძლებოდა მათაც განეხორციელებინათ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.ისინი სვამდნენ შეკითხვებს,თუ როგორ მოეხდინათ საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება.ჩემი გამოცდილების ფარგლებში გავუზიარე საკუთარი ცოდნა,ასევე დავგეგმეთ ერთი საინფორმაციო შეხვედრა,რომელიც კარგი გზამკვლევი იქნება მათთვის,რომ თავადაც განახორციელონ საკუთარი პრაქტიკის კვლევა.

ვფიქრობ,შემდეგი სასწავლო წლიდან გავაგრძელო ასეთი ტიპის სამუშაოები,დარჩენილი ხარვეზები აღმოვფხვრა ,რომ კლასში საუკეთესო მოსწავლეების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

იამზე მსხვილიძე

21.06.2019